# ტროლების ფაბრიკა

## TBC-ის, არასამთავრობოების და მედიის წინააღმდეგ



MDF
მედიის განვითარების ფონდი

# სახელისუფლებო ტროლები

## TBC-ის, არასამთავრობოების და მედიის წინააღმდეგ

www.mdfgeorgia.ge
მედიის განვითარების ფონდი, 2019

## შესავალი

ტროლი არის პიროვნება, რომელიც ონლაინ სივრცეში რეალური იდენტობის მითითების გარეშე მოქმედებს, რათა სხვადასხვა ვებ-გვერდებზე, ფორუმებსა და სოციალურ ქსელებში მომხმარებელთა შორის ჯანსაღ დისკუსიას ხელი შეუშალოს. ტროლის მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი მისი რეალური იდენტობის დამალვაა. ონლაინ სივრცეში ის ყალბი პროფილის მეშვეობით მოქმედებს, სადაც მის შესახებ არსებული ინფორმაცია ან გაყალბებულია, ან საერთოდ არ არის ასახული. ეს შეიძლება იყოს ფოტოები, საკონტაქტო ინფორმაცია, მონაცემები განათლებისა და სამუშაო ადგილის, ასევე ჰობის და ინტერესების შესახებ.

წინამდებარე კვლევა სახელისუფლებო ტროლების იდენტიფიცირებას და მათ მიერ ცალკეული ჯგუფების წინააღმდეგ წარმოებული კამპანიების შესახებ საზოგადოების ინფორმირებას ისახავს მიზნად.

## მეთოდოლოგია

მედიის განვითარების ფონდმა 2019 წლის 25 თებერვალს გამოაქვეყნა კვლევა “სახელისუფლებო ტროლები მამუკა ხაზარაძის წინააღმდეგ[1]”, რომელმაც TBC ბანკის მადისკრედიტირებელ კამპანიაში ჩართული 9 ფეისბუკ  გვერდი და რამდენიმე ტროლი გამოავლინა, რომლებიც სხვა პირების იდენტობას იპარავდნენ.

წინა ანგარიშზე დაყრდნობით, რომელიც TBC-ის წინააღმდეგ სოციალურ ქსელში დაწყებულ კამპანიას იკვლევდა, მედიის განვითარების ფონდმა გადაწყვიტა, თოვლის გუნდის პრინციპით დამატებით იმ ტროლების მოძიება, რომლებიც ერთმანეთის ფეისბუკ პოსტებზე კომენტარებს ტოვებდნენ, ერთმანეთთან ინტერაქციაში შედიოდნენ და ამავე დროს ორგანიზებულად იდენტური შინაარსის მასალებს აზიარებდნენ ან საზოგადოებრივი აზრის მობილიზების მიზნით ერთგვაროვანი შინაარსის კომენტარებს ტოვებდნენ.

ტროლების პროფილების შესწავლა პროფილების ანალიზის ღია წყაროების მეშვეობით მოხდა, რა დროსაც პირველ რიგში ხდებოდა იმის იდენტიფიცირება, თუ რამდენად რეალური იყო ფეისბუკ მომხმარებელი და თუ ვის იდენტობას იყენებდა ის საკუთარის დასამალად. ყალბი პროფილების იდენტიფიცირების შემდეგ კი ტროლების გზავნილები, გზავნილების იდენტური შინაარსი და სამიზნე ჯგუფები გაანალიზდა.

“მედიის განვითარების ფონდი” ფეისბუკის ყალბ ანგარიშებს ერთი თვის განმავლობაში (4 მარტი - 5 აპრილი) აკვირდებოდა და დაკვირვების საგანი იყო არა მხოლოდ TBC ბანკის მიმართ ინიცირებული კამპანია, არამედ სხვა სუბიექტებიც, კერძოდ, არასამთავრობო ორგანიზაციები და მედია. ამასთანავე,  ტროლების პროფილების ანალიზისას,

---

[1] მედიის განვითარების ფონდი, MDF, სახელისუფლებო ტროლები მამუკა ხაზარაძის წინააღმდეგ”, 25 თებერვალი, 2019. http://mdfgeorgia.ge/geo/view-library/103

საილუსტრაციოდ, ანგარიშში სოციალურ ქსელში მათი წარსული აქტივობების მაგალითებიც არის მოყვანილი.

## მთავარი მიგნებები

მონიტორინგის შედეგად შემდეგი ტენდენცია გამოიკვეთა:

- გამოვლინდა ფეისბუკის 15 პროფილი, რომელიც სხვის იდენტობას იპარავს. 15-დან 11 რუსული სოციალური ქსელების - ოდნოკლასნიკებისა (3) და VKontakte-ს (8) - მომხმრებლების იდენტობას იპარავს, 2 - სერიალის პერსონაჟების, 1 - ფეისკბუკ მომხმარებლის, ხოლო 1 - თავისუფალ ჟურნალისტთა სახლის ჟურნალისტისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის.
- 15-დან 9 ტროლს ყველაზე ხშირად გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოფიციალური ღონისძიებების ამსახველი ფოტოები აქვს მოწონებული და ბევრ მათგანს უშუალოდ სამინისტროს პოსტები გაზიარებული.
- გამოვლენილი საეჭვო პროფილები სოციალურ ქსელებში ხელისუფლების, მმართველი პარტია ქართული ოცნებისა და მისი თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის მხარდასაჭერ პოსტებს ან კომენტარებს აქვეყნებენ.
- აღნიშნული პროფილები  ბიძინა ივანიშვილის მიმართ კრიტიკულ პოსტებზე მწვავედ რეაგირებენ და საპირისპიროს დამტკიცებას  თავიანთი კომენტარებით ცდილობენ.
- გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ტროლები ოპოზიციური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების, ჟურნალისტების და სხვა ფეისბუკ მომხმარებლების პოსტების ან ინფორმაციის შინაარსს თავიანთ კომენტარებში ეჭვქვეშ აყენებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ პოსტების ავტორები თავიანთ მოსაზრებებს წყაროებზე დაყრდნობით ავრცელებდნენ.
- ერთი და იგივე ტროლები კონტრ-კომენტარებს, რომელთა მიზანი ხელისუფლების ქმედებების გამართლება იყო, განსხვავებულ თემატიკაზე წერდნენ, იქნებოდა ეს ტაქსებზე დაწესებული რეგულაციები, 2008 წლის ომი, დემირელის კოლეჯისთვის ავტორიზაციის შეჩერების მიზანშეწონილობა თუ სხვა საკითხები.
- ტროლების სამიზნე TBC ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი  თავმჯდომარის მამუკა ხაზარაძის გარდა, არასამთავრობო ორგანიზაციები და კრიტიკული მედიაა, რომელთა წინააღმდეგ პოსტები კამპანიურად ქვეყნდება და ერთგვაროვანი შინაარსისაა.
- **TBC.** ყალბი ანგარიშების ხელახალი მობილიზება მამუკა ხაზარაძის წინააღმდეგ 4 მარტს პარლამენტში მის გამოსვლასა და იმ განცხადებას მოჰყვა, სადაც მან მუქარის შემცველი წერილის მიღების შესახებ ისაუბრა.
- **არასამთავრობო ორგანიზაციების** წინააღმდეგ სახელისუფლებო ტროლების მობილიზება შემდეგ საკითხებს უკავშირდებოდა:
    1. 2 შემთხვევაში ***საზოგადოებრივი მაუწყებლის*** შესახებ გამოქვეყნებულ კრიტიკულ კვლევებს: 3 აპრილს ღია საზოგადოების ფონდისა და საერთაშორისო ორგანიზაცია IDEA-ს დაკვეთით კავკასიური რესურსების კვლევითი ცენტრის

(CRRC) მიერ ჩატარებულ კვლევას[2]; ასევე 15 მარტს “მედიის განვითარების ფონდის” მიერ ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე ეთნიკური უმცირესობების ინფორმირებულობის შესახებ გამოქვეყნებულ კვლევას[3], რომელიც ღია საზოგადოების ფონდის მხარდაჭერით ჩატარდა.

2. 2 აპრილს ხელისუფლებასთან დაკავშირებული ექსპერტის გია აბაშიძის მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, “ნაციონალური მოძრაობის შეღწევა სამოქალაქო სექტორში[4]”, რომელსაც სახელისუფლებო ტროლები აქტიურად აზიარებდნენ.
3. 15 მარტს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომაზე "საერთო სასამართლოების შესახებ" კანონში ცვლილებების კანონპროექტების განხილვის დროს არასათავრობო ორგანიზაციების აქციას, როდესაც ისინი მაისურებზე წარწერით "კლანი უნდა წავიდეს" მივიდნენ[5].

- **კრიტიკული მედია.** ტროლების მობილიზება ასევე კრიტიკული მედია საშუალებების და მათი ჟურნალისტების წინააღმდეგ ხდებოდა (რუსთავი 2, ტვ პირველი, ონლაინ გამოცემა “ლიბერალი” და სხვა).
- გამოვლინდა 6 ფეისბუკ გვერდი, რომელიც სხვადასხვა კამპანიაში იყო ჩართული. 6-იდან 3 გვერდი 2019 წელს, 2 - 2018 წელს, ხოლო ერთი 2014 წელს შეიქმნა.
- სახელისუფლებო ექსპერტის გია აბაშიძის მიერ 2 აპრილს გამოქვეყნებული ანგარიში, რომელშიც ის ნაციონალურ მოძრაობასთან არასამთავრობო ორგანიზაციების კავშირებზე საუბრობდა, გამოვლენილ 6 გვერდს დასპონსორებული ჰქონდა.

---

[2] ნეტგაზეთი, 3 აპრილი, 2019. მოსახლეობის 47% ამბობს, რომ საზმაუს არასდროს არ უყურებს – CRRC-ის კვლევა. http://netgazeti.ge/news/353590/

[3] მედიის განვითარების ფონდი, 2019, საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე უმცირესობებით დასახლებული რეგიონების ინფორმირება. http://mdfgeorgia.ge/geo/view-library/107

[4] ნეტგაზეთი, 4 აპრილი, 2019. “ეს არის ლაითი კვლევა” — გია აბაშიძე NGO-ების ენმ-სთან კავშირზე. http://netgazeti.ge/news/354056/

[5] ლიბერალი, 15 მარტი, 2019. „კლანი უნდა წავიდეს“ - პარლამენტში მოსამართლეთა შერჩევის 3 კანონპროექტს განიხილავენ. http://liberali.ge/news/view/43782/LIVEklani-unda-tsavides--parlamentshi-mosamartleta-sherchevis-3-kanonproeqts-ganikhilaven

# შინაარსი


I. იდენტიფიცირებული ტროლები და მოპარული იდენტობა..................6
II. ტროლები TBC-ის წინააღმდეგ.........................................................33
III. ტროლები არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ...............42
IV. ტროლები კრიტიკული მედიის წინააღმდეგ ...................................54
V. დისკრედიტაციის კამპანიური ხასიათი ..........................................60

# I. იდენტიფიცირებული ტროლები და მოპარული იდენტობა

“მედიის განვითარების ფონდმა” 4 მარტის - 5 აპრილის პერიოდში 15 ყალბი პროფილი გამოავლინა. გამოვლენილი 15 პროფილიდან 11 რუსული სოციალური ქსელების - ოდნოკლასნიკებისა (3) და VKontakte-ს (8) - მომხმრებლების იდენტობას იპარავს, 2 - სერიალის პერსონაჟების, 1 - ფეისბუკ მომხმარებლის და ჟურნალ “ლიბერალის” თანამშრომლის, ხოლო 1 - თავისუფალ ჟურნალისტთა სახლის ჟურნალისტისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის:

| ტროლი | პლატფორმა/ორგანიზაცია | მოპარული იდენტობა |
|---|---|---|
| Mariam Svanidze | Одноклассники | ♕Svetlana♕ Ajiotaje♕одежда♕<br>სვეტლანა<br>(ასტრახანი, რუსეთი) |
| Ketevan Arabuli | Одноклассники | Lusine Vardanyan<br>ლუსინე ვარდანიან<br>(ერევანი, სომხეთი) |
| Giorgadze Lekso | Одноклассники | Дмитрий Михайлов<br>დმიტრი მიხაილოვი<br>(აჩინსკი, კრასნოდარის მხარე, რუსეთი) |
| Tamro Todadze | VKontakte | Natasha Baskaeva<br>რუსი დიზაინერი და მოდელი ნატაშა ბასკაევა<br>(მოსკოვი, რუსეთი) |
| Nino Menabde | VKontakte | Lina Abu-El-Khassan<br>ლინა აბუ-ელ-ხასანი<br>(მაიამი ბიჩი, აშშ) |
| Marika Dgebuadze[6] | VKontakte | Amalia Akhmedova<br>ამალია ახმედოვა<br>(სანკტ-პეტერბურგი, რუსეთი) |
| ანი იორდანიშვილი | VKontakte | Christina Margaryan<br>კრისტინა მარგარიანი<br>(ერევანი, სომხეთი) |
| Nana Ediberidze | VKontakte | Marina Rozhkova<br>მარინა როჟკოვა<br>(კოვროვი, რუსეთი) |
| Saba Giorgadze | VKontakte | Рашид Магомедов<br>რაშიდ მაგომედოვი<br>(ხასავიურტი, დაღესტანი, რუსეთი) |

[6] ამ ეტაპისთვის ანგარიში გაუქმებულია

| | | |
|---|---|---|
| Marika Melikidze | VKontakte | Natalia Timofeeva<br>ნატალია ტიმოფეევა,<br>(მინერალური წყლები (მინვოდი) - ქალაქი რუსეთის სტავროპოლის მხარეში |
| Salome Koridze | VKontakte | Gayane Harutyunyan<br>გაიანე ჰარუტინიანი<br>(ერევანი, სომხეთი) |
| გიორგი ტულუში |  | ფოტო ეკუთვნის შვედეთში დაბადებულ თურქ მსახიობს Barış Arduç, რომელიც თურქულ სერიალში "დაქირავებული სიყვარული" თამაშობს. ფოტოების საძიებო სისტემებში მითითებული ფოტო იძებნება, როგორც კადრი აღნიშნული სერიალიდან. |
| Salome Sixarulidze |  | ცნობილი სერიალის "ახალგაზრდა პაპი" მსახიობი მადალინა ბელარიუ |
| Marika Wveraidze | | 1. თავისუფალ ჟურნალისტთა სახლის ჟურნალისტის.<br><br>2. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის. |
| Giorgi Baliashvili | Facebook | 1. Игорь Бахмацкий<br>(კიევი, უკრაინა)<br><br>2. გიორგი ბელიაშვილს ყოფილ სამსახურად მითითებული აქვს გამოცემა "ლიბერალი".<br> |



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
BATUMI SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY

MES 4 19 00321630

19/03/2019

მედიის განვითარების ფონდს
(ს/კ 204553937, მის: ქობულეთის 34/36)

თქვენი წერილის (06.03.2019წ.) პასუხად გაცნობებთ, რომ მარიკა წვერაიძე არ ფიქსირდება სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ან კურსდამთავრებულთა სიაში.

პატივისცემით,

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო / უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულებები / სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი
ხალვაში მერაბი

ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ ანგარიშს Marika Wveraidze-ს მითითებული აქვს, რომ მუშაობს “თავისუფალ ჟურნალისტთა სახლში” და ასევე არის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული. ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, “მედიის განვითარების ფონდი” “თავისუფალ ჟურნალისტთა სახლს” დაუკავშირდა, სადაც განმარტეს, რომ მსგავსი სახელისა და გვარის პიროვნება მათთან არ მუშაობს. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან “მედიის განვითარების ფონდს” კი წერილობით აცნობეს, რომ ამ სახელითა და გვარით უნივერსიტეტში არც სტუდენტი, არც კურსდამთავრებული ირიცხება.

მომხმარებელ გიორგი ბალიაშვილს კი მითითებული აქვს, რომ ის წარსულში (2009 წლის 1 თებერვალი - 2011 წლის 4 ივნისი) ჟურნალ “ლიბერალში” მუშაობდა. მედიის განვითარების ფონდი ინფორმაციის გადამოწმების მიზნით “ლიბერალის” რედაქციას დაუკავშირდა, სადაც ამ სახელით და გვარით თანამშრომელი ვერ გაიხსენეს.



# ტროლი

# ვის იდენტობას იპარავს?


















# ტროლი

# ვის იდენტობას იპარავს?


















# ტროლი

# ვის იდენტობას იპარავს?




1. თავისუფალ ჟურნალისტთა სახლის ჟურნალისტის.

2. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის.


















# ტროლი

# ვის იდენტობას იპარავს?







Nana Ediberidze → მარინა როჟკოვა







Saba Giorgadze → Рашид Магомедов






Giorgi Baliashvili → Игорь Бахмацкий


ტროლი
ვის იდენტობას იპარავს?
THE SOUND OF THE RAIN WILL HEAL YOU.
Marika Melikidze
Marika Melikidze
Add Friend
Message
More
Natalia Timofeeva
Natalia Timofeeva
14 Sep 2016
Khalida Kulieva
красотка во весь мир
29 Jul 2017
Salome Koridze
Salome Koridze
Add Friend
Message
More
Gayane Harutyunyan

ამ სექციაში ყვითლად მონიშნულია ის პროფილები, რომლებიც ტროლებს მეგობრებში ჰყავთ დამატებული და ისინიც  სხვა ადამიანების იდენტობას იპარავენ. ამასთან, ისინი ერთმანეთის ფოტოებს, კომენტარებს და პოსტებს იწონებენ, ერთმანეთთან ინტერაქციაში შედიან, რაც არ გამორიცხავს ვარაუდს, რომ აღნიშნული პროფილები ერთი ანგარიშიდან იმართებოდეს.



## ინდიკატორები, რომლებიც მიუთითებენ, რომ აღნიშნული ყალბი ანგარიშები სახელისუფლებო ტროლები არიან

გამოვლენი ყალბი პროფილების ხელისუფლებასთან კავშირებზე შემდეგი ფაქტორები მიანიშნებენ:

- იდენტიფიცირებული ტროლები მმართველი პარტიის ან ცალკეული უწყებების მხარდამჭერ გზავნილებს ავრცელებენ. ეს გზავნილები სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე მმართველი პარტიის პოზიციებთან მოდის თანხვედრაში და ზოგჯერ კამპანიური სახისაა.
- იდენტიფიცირებული ტროლების უმეტესობა სიმპათიებს გამოხატავს თბილისის მერ კახა კალაძის, პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძისა და შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი გახარიას მიმართ. პოსტების დიდი ნაწილი შსს-ს მიერ კრიმინალთან ეფექტიან გამკლავებას ეხება.
- 15-დან 9 ტროლს ყველაზე ხშირად გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოფიციალური ღონისძიებების ამსახველი ფოტოები აქვს მოწონებული და ბევრ მათგანს უშუალოდ სამინისტროს პოსტები გაზიარებული.
- კვლევის ფარგლებში იდენტიფიცირებული ტროლები, სოციალურ ქსელში ხელისუფლებისა და  ბიძინა ივანიშვილის მიმართ კრიტიკულ პოსტებზე მწვავედ რეაგირებენ და საპირისპიროს დამტკიცებას  თავიანთი კომენტარებით ცდილობენ.
- მმართველი პარტიისა და ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერი პოსტებისა და კომენტარების გარდა, როგორც TBC ბანკის, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წინააღმდეგ ტროლები კამაპნიურად ერთვებიან და ერთგვაროვანი გზავნილების შემცველ პოსტებს ორგანიზებულად ავრცელებენ.
- ტროლები მმართველ პარტიასთან დაკავშირებულ ფეისბუკ ჯგუფებში არიან გაწევრიანებული, ასევე იდენტური ფეისბუკ გვერდების და მედიების ინფორმაციას ავრცელებენ.

## კომენტარები ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებულ კრიტიკულ ინფორმაციაზე.

მონიტორინგის პერიოდში ტროლები იდენტურ კომენტარებს ტოვებდნენ სხვადასხვა მედია საშაულებებით გავრცელებულ იმ ინფორმაციებზე, რომლებიც ბიძინა ივანიშვილის მიერ ბოტანიკური ბაღის ტერიტორიის მიერთების გეგმებს შეეხებოდა, ასევე აბასთუმნის ტუპდისპანსერის დახურვას და ივანიშვილის აღნიშნული ადგილით დაინტერესების შესახებ გავრცელებულ ცნობებს, რაც სასტუმროს აშენებას უკავშირდება. ტროლები კომენტარებში ან გავრცელებული ინფორმაციის სიზუსტეს აყენებდნენ ეჭვქვეშ ან სასტუმროს აშენების მიზანშეწონილობას ასაბუთებდნენ.



Elga Abalaki
14 მარტი, 18:44-ზე



RUSTAVI2.GE

**ივანიშვილი ბოტანიკური ბაღის ხარჯზე დამატებით 14 ათასი კვ.მ. ფართობი მიწის მიერთებას გეგმავს - ღ**

ზაზა წიქორიძე და 3 სხვა 2 კომენტარი 1 გაზიარება

მომწონს კომენტარი გააზიარეთ

Marika Wveraidze ტყუილია .
„ბოტანიკური ბაღის გარშემო გავრცელებული ინფორმაცია არის სრული აბსურდი. კანონმდებლობაში კარგად უნდა გაერკვეს ნებისმიერი ადამიანი, ვინც მსგავს სიცრუეს და აბსურდს ავრცელებს. ბოტანიკურ ბაღს აქვს ძალიან მაღალი სტატუსი - ის არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, რაც გამორიცხავს მის გასხვისებას და გარდა ლანდშაფტურისა, იქ რაიმე სხვა ტიპის საქმიანობის განხორციელებას.

მომწონს · პასუხი · 2 კვირა



პირველი რადიო
14 მარტი, 18:34-ზე
http://pirveliradio.ge/?newsid=122615

PIRVELIRADIO.GE

**ზონალური ცვლილებები - ივანიშვილი ბოტანიკური ბაღის ხარჯზე დამატებით 14 ათასი კვ.მ. ფართობი მიწი**

Elga Abalaki და 1 სხვა 2 კომენტარი 1 გაზიარება

მომწონს კომენტარი გააზიარეთ

გიორგი ტუღუში მორიგი სიცრუეა . კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი აქვს მინიჭებული ბოტანიკურ ბაღს და გასხვისება კანონით არის აკრძალული . აქეთ დაემატა 17 ჰა მიწის ფართობი

მომწონს · პასუხი · 2 კვირა

ანი იორდანაშვილი რაიყო ნაცებო ბაღის გაშენიანების გეგმას ნაკლი ვერ უპოვეთ და კვლავ დაიწყეთ ზღაპრების გავრცელება? კანონმდებლობაში მცირედი ცოდნა არ გაწყენდათ. შეუძლებელია ბოტანიკურ ბაღში მშენებლობის ჩატარება !!!

მომწონს · პასუხი · 2 კვირა







ინფორმაციაზე[7], სათაურით "ამხანაგო ბიძინა, ასე როგორ გეზიზღებათ ხალხისთვის ხელის ჩამორთმევა... ხელთათმანი ჩაიცვით ხოლმე", რომელშიც ფეისბუკის ერთ-ერთი მომხმარებელი ბიძინა ივანიშვილს იმის გამო აკრიტიკებდა, რომ ხიბულაში სტუმრობისას მან ხალხს ჯერ  ხელი ჩამოართვა, შემდეგ კი გაიწმინდა, თან ერთვოდა ტროლის კომენტარი, რომელიც ამტკიცებდა, რომ ხელის ჩამორთმევამ შესაძლოა, იშემიური ინფაქტი გამოიწვიოს და ამ კონტექსტში ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალება იყო მოხსენიებული.

[7] https://presa.ge/?m=regions&AID=73893

**www.itv.ge**
March 30 at 6:10 PM ·

"სანდრას შიშით უცებ გამსახურდიაც კი შეიყვარა ამ ობერაფერისტმა, ოღონდ ხალხის მიმართ ზიზღს მაინც ვერ მალავს",



PRESA.GE
**"ამხანაგო ბიძინა, ასე როგორ გეზიზღებათ ხალხისთვის ხელის ჩამორთმევა... ხელთათმანი ჩაიცვით ხოლმ**

118 · 102 Comments · 27 Shares

Like · Comment · Share

Most Relevant

Write a comment...

**Nino Barateli** რუსთავი-2 ზე უნამუსოები და ამორალურები ხართ! სანდრა მართლა საშიშია ცოცხალ ადამიანებს სხეულს გლეჯდა!!
Like · Reply · 1w · 32

24 Replies

**Salome Sixarulidze** პატარკაციშვილი გარდაცვალებაზე გსმენიათ რამე ? იცით რომ ხელის ჩამორთმევას შეუძლია იშემიური ინფაქტი გამოიწვიოს ? ამით არ გამოიხატება სიმპათია და ანტიპატია საქმეებს შეხედეთ, თქვენ და იმას გამოეკიდეთ უსაფრთხოების დეტალებზე თვითონ იზრუნებენ 😉

**ტროლების კომენტარები სხვა კრიტიკულ პოსტებზე.** გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ტროლები ოპოზიციური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების, ჟურნალისტების და სხვა ფეისბუკ მომხმარებლების პოსტების ან ინფორმაციის შინაარსს თავიანთ კომენტარებში ეჭვქვეშ აყენებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ პოსტების ავტორები თავიანთ მოსაზრებებს წყაროებზე დაყრდნობით ავრცელებდნენ. მაგალითად, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრმა ზურაბ ღონღაძემ ფეისბუკში გაავრცელა newpost.ge-ს ინფორმაცია, სათაურით "ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენება, ამომრჩევლის მოსყიდვა, ძალადობა - ეუთო საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ", რასაც ერთდროულად 3 ტროლის მობილიზება მოჰყვა, რომლებიც თავიანთ კომენტარებში ფაქტების არასწორ ინტერპრეტაციას რუსთავი 2-ს აბრალებდნენ და ამტკიცებდნენ, რომ რეალურად ეუთოს დასკვნაში ამომრჩეველთა მოსყიდვაზე საუბარი არ ყოფილა.






ევროპული საქართველოს პრესსპიკერმა ირაკლი კიკნაველიძემ გამოაქვეყნა ფეისბუკ სტატუსი, რომელიც მამუკა ხაზარაძის მიერ წარმოდგენილ წერილს შეეხებოდა და მისი განცხადებით, შინაგან საქმეთა მინისტრის გიორგი გახარიას მიერ მის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს შეეხებოდა. კიკნაველიძის კრიტიკა წერილის იმ ნაწილს შეეხებოდა, სადაც ტელეკომპანია “არტერიას” მიმართ “ობიექტურობის მაღალი ხარისხის” მოთხოვნაზე იყო საუბარი, რასაც ნინო მენაბდის სახელით რეგისტრირებული მომხმარებლის კომენტარი მოჰყვა, რომელიც მამუკა ხაზარაძის გაცხადების აბსურდულობის დამტკიცებას ცდილობდა.




ერთი და იგივე ტროლები კონტრ-კომენტარებს, რომელთა მიზანი ხელისუფლების ქმედებების გამართლება იყო, განსხვავებულ თემატიკაზე წერდნენ, იქნებოდა ეს ტაქსებზე დაწესებული რეგულაციები, 2008 წლის ომი, დემირელის კოლეჯისთვის ავტორიზაციის შეჩერების მიზანშეწონილობა თუ სხვა საკითხები. მაგალითად, მომხმარებელი, რომელიც

ნანა ედიბერიძის სახელით პოსტავს, „ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის“ თავმჯდომარის დავით მესხიშვილის კრიტიკულ კომენტარსაც ეხმაურება ტაქსების რეგულაციების შესახებ; დემირელის სახელობის კოლეჯისთვის 2017 წელს ავტორიზაციის შეჩერებას კოლეჯში არსებული დარღვევებით ამართლებს და ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგიენკოს მიერ 2008 წლის აგვისტოს ომზე გაკეთებული განცხადების[8] კრიტიკაზეც რეაგირებს და ამტკიცებს, რომ მინისტრის მხრიდან ტერმინ “მცოცავი ოკუპაციის” უარყოფას კი არ აქვს მნიშვნელობა, არამედ იმას, რომ წინა ხელისუფლებამ რუსეთს ქართული სოფლები ჩააბარა და თავად ქვეყნიდან გაიქცა.




[8] მეტრონომი, 3 აგვისტო, 2017. “ “არანაირი მცოცავი და ეტაპობრივი ოკუპაცია არ არის”. **დავით სერგიენკო:** “არანაირი მცოცავი და ეტაპობრივი ოკუპაცია არ არის – ეს არის იმ ”საზღვრების” დადგენა, რომელსაც 2008 წელს, ძალიან სამწუხაროდ, ლეგიტიმაცია მაშინდელმა მთავრობამ გაუკეთა”. https://metronome.ge/story/110286



Rusudan Tskhomelidze
30 აგვისტო, 2017 · Georgia Netgazeti ·

ამ სკოლის მოსწავლეები ოლიმპიადებში იმარჯვებდნენ! ერთ-ერთი საუკეთესო იყო და ავტორიზაცია ვერ გაიარა? მართლა რა თავხედობაა!!!



NETGAZETI.GE
**დემირელის სკოლა დახურეს | Netgazeti**
slideshow, ახალი ამბები ქეთი მაჭავარიანი - 30.08.2017 დემირელი...

Mariam Sparsiashvili და 10 სხვა — 15 კომენტარი 5 გაზიარება

მომწონს · კომენტარი · გააზიარეთ

**Misha Rogava** ყველგან პოლიტიკა, რა თქმა უნდა!
მომწონს · პასუხი · 1 წელი

**Laura Demetrashvili** თავხედობა კი არა განუკითხაობაა.
მომწონს · პასუხი · 1 წელი

**Nana Ediberidze** განუკითხაობა ამ სკოლაში ხდებოდა 🙂 არარსებულ მოსწავლეებს არეგისტრირებდნენ რომ სახელმწიფოსგან ვაუჩერები მიეღოთ და კიდევ ბევრი დარღვევა ჰქონდათ, დასახური იყო სწორედაც!
მომწონს · პასუხი · 1 წელი



Natia Anastasiadi
30 აგვისტო, 2017 ·

არადა რამდენ კერძო სკოლას მილიონი თავით ჯობია!

1TV.GE
**დემირელის სახელობის კოლეჯმა ავტორიზაცია ვერ გაიარა | პირველი არხი**

Ana Zakaraia და 22 სხვა — 20 კომენტარი

მომწონს · კომენტარი · გააზიარეთ

**Nina Khvedeliani** არ შეიძლება პოლიტიკას შეწირო განათლება!
მომწონს · პასუხი · 1 წელი — 1

**Nana Chkhaidze** ეს სკოლა არის ერთ ერთი საუკეთესო და ძალიან სამწუხაროა 😟
მომწონს · პასუხი · 1 წელი — 2

**Nana Ediberidze** სერიოზული დარღვევები ჰქონია ამ სკოლას. ერთი წლის პროგრამას რომ ერთ დღეში უთვლიდნენ მოსწავლეებს ჩაბარებულად და მაღალ ნიშნებს უწერდნენ სხვა სკოლაში გადასასვლელად, ან არარსებული მოსწავლეები რომ ჰყავდათ რეგისტრირებული ვაუჩერების მისაღებად, ნორმალურია და თვალი უნდა დაეხუჭა სახელმწიფოს??
მომწონს · პასუხი · 1 წელი — 1







**პოსტები შსს-ს კრიმინალთან ეფექტიან ბრძოლაზე და შს მინისტრის პოზიტიურ იმიჯზე.** ოპოზიციის ბრალდებების საპასუხოდ კრიმინოგენული მდგომარეობის გაუარესების შესახებ ტროლები ხშირად აქვეყნებდნენ ისეთ პოსტებს, რომლებიც დანაშაულის გახსნას შეეხებოდა, ასევე პოზტიურად წარმოაჩენდნენ თავად შინაგან საქმეთა მინისტრს და არასწორი ფაქტების გავრცელებაში ძირითადად ტელეკომპანია რუსთავი 2-ს ადანაშაულებდნენ.


Ketevan Arabuli
March 12 at 12:04 PM
გლდანში "საქართველოს ბანკზე" ყაჩაღური თავდასხმის ფაქტი განსხილია!! შსს-მ 2 პირი დააკავა
34
3 Shares


Salome Koridze ▸ პროტესტი! Protest! Протест!
12 მარტი, 12:19-ზე
გლდანში ბანკზე ყაჩაღურ თავდასხმასთან დაკავშირებით 2 პირი დააკავეს საქმე გახსნილია


Salome Sixarulidze
March 15 at 3:14 PM
შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნარკორეალიზატორების ორგანიზებული ჯგუფის 29 წევრი დააკავა.
ესეც ასე ! შსს მუშაობა ამ მხრივ მართლა ეფექტურია , თითქმის ერთ წელიწადში შეძლეს ამ საშინელებასთან გამკლავება , დაიწყეს წვრილი ბარიგებით და ეხლა უკვე მთავარ შემომტანებსაც მიადგენენ ! შსსმ დააკავა დანარჩენს კანონი მიხედავს და იმედია უმკაცრესად
PATROL POLICE LINE - DO NOT CROSS
INTERPRESSNEWS.GE
შსს-მ 29 ნარკორეალიზატორი დააკავა
შინაგან საქმეთა სამინისტრომ 29 ნარკორეალიზატორი დააკავა, - ამის...


Nino Menabde
March 23 at 5:05 PM
გახსოვთ შსს მინისტრი პირდაპირ ეთერში გამოსულიყო და მის მიმართ კრიტიკულად განწყობილ ჟურნალისტების კითხვაზე ეპასუხა?! გახარია!
114
9 Comments 2 Shares


Nana Ediberidze-მ გააზიარა ფოტო ჯგუფში: ქართველთა მსოფლიო ცენტრი Georgians World Center Всемирный центр грузин Gürc.
15 მარტი, 15:23-ზე
აი რას ნიშნავს, როცა უწყება ეფექტურად მუშაობს და თავის საქმეს აკეთებს. 29 ნარკომოვაჭრე, მთავარი შემომტანები არიან აყვანილები
Caucasus Press
15 მარტი, 15:19-ზე
გვერდის მოწონება
შინაგან საქმეთა სამინისტრომ 29 ნარკორეალიზატორი დააკავა
თბილისში - ფონიჭალის დასახლებაში დაკავებულია ნარკორეალიზატორების ორგანიზებული ჯგუფის წევრები, რომლებიც ნ...
იხილეთ მეტი


Tamro Todadze
March 12 at 2:19 PM
ალბათ, გახსოვთ მედიამ როგორი აჟიოტაჟით და ენთუზიაზმით გაავრცელა ამბავი საქართველოს ბანკის დაყაჩაღების შესახებ. ჰოდა, გახსნა შსს-მ ეს საქმე , ცხელ კვალზე, დამნაშავეებიც დაიჭირეს და დიდი იმედი მაქვს, მედია ამ ინფორმაციასაც იგივე შემართებით გაავრცელებს თორე ზუსტად მედია უქმნის საზოგადოებას შთაბეჭდილებას, რომ პოლიცია დანაშაულთან ბრძოლას ვერ ახერხებს, რაც სრული აბსურდია. ამიტომ, კეთილი ინებონ და გააშუქონ ამბავი, რომ პოლიციამ ეს საქმე უმოკლეს დროში გახსნა !
24
1 Share
Like
Comment
Share

ამასთანავე, ტროლები რეაგირებენ ფეისბუკის მომხმარებლების მიერ სოციალურ ქსელებში ცალკეულ დანაშაულთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ შეფასებებზე და დისკუსიაზე გავლენის მოხდენას ცდილობდნენ: მაგალითად, რადიო “თავისუფლების” ჟურნალისტის სალომე ასათიანის პოსტზე, რომელიც ხორავას ქუჩის მკვლელობის საქმესთან მიმართებით მართლმსაჯულების სისტემის პრობლემაზე ამახვილებდა ყურადღებას, ასევე ისტორიკოსს გრიგოლ გეგელიას[9] კრიტიკაზე შსს-ს მიმართ.




[9] ამჟამად მთაწმინდის მაჟორიტარობის კანდიდატი




**ტროლების უმეტესობა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფოტოებს იწონებს და პოსტებს აზიარებს.** 15-დან 9 ტროლს ყველაზე ხშირად გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოფიციალური ღონისძიებების ამსახველი ფოტოები აქვს ყველაზე ხშირად მოწონებული და ბევრ მათგანს უშუალოდ სამინისტროს პოსტები გაზიარებული.


Photos liked by Salome Sixarulidze
15
37
28
2
20
5
32
1
42
20
9


Photos liked by Marika Wveraidze
11
7
13
8
251 87
4
TBC BANK
11
29
193 70
35
28
438 37
19 1
47 3
72
39 1
9
7




**გიორგი ტუღუში**
31 მარტი, 14:55-ზე ·

გუშინ მსოფლიოსთან ერთად დედამიწის საათი საქართველომაც აღნიშნა 👏
ესეც ჩვენი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილია, რომელიც თავად ჩაერთო ღონისძიებაში და მოხალისეებთან ერთად 6!! კმ ირბინა!
ბევრი იცით ასეთი მინისტრი, რომელიც დაგეგმილ ღონისძიებას შორიდან არ უყურებს და მთელი გულით და მონდომებითაა ჩართული საქმეში?
როცა გიყვარს შენი საქმე და გაქვს პასუხისმგებლობა ასე უდგები ყველაფერს !






**ფეისბუქ გვერდები/ჯგუფები და მედიები.** გამოვლინდა 6 ფეისბუქ გვერდი, რომელიც სხვადასხვა კამპანიაში იყო ჩართული. 6-იდან 3 გვერდი 2019 წელს, 2 - 2018 წელს, ხოლო ერთი 2014 წელს შეიქმნა. ამასთანავე სახელისუფლებო ტროლები მასალებს, როგორც პოლიტიკური, ასევე არაპოლიტიკური შინაარსის ფეისბუქ ჯგუფებში აზრიარებდნენ. ისინი ოფიციალური უწყებებისა და სხვადასხვა მედიების სტატუსებსაც ხშირად ავრცელებდნენ.

| პოლიტიკური შინაარსის და პოლიტიკასთან დაკავშირებული ჯგუფები | არაპოლიტიკური შინაარსის ჯგუფები | გვერდები, რომლებსაც ტროლები აზიარებენ | უწყებების, ქართული ოცნების წევრებისა და ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებული ოფიციალური გვერდები |
|---|---|---|---|
| ბიძინა ივანიშვილის მეგობრები "ფეისბუქზე". | პროტესტი! Protest! Протест! | ქართული პრესა | ქართული ოცნება / Georgian dream ( Regional Page) |
| კახა კალაძე თბილისის მერი | ქართველთა მსოფლიო ცენტრი Georgians World Center Всемирный центр грузин Gürc | პრესკლუბი | შიდა ქართლის მხარე |
| 'მოქალაქე'' არასამთავრობო ორგანიზაცია | აქტუალური თემები, საინტერესო მოვლენები და ფაქტები! | Caucasus Press | შინაგან საქმეთა სამინისტრო / Ministry of Internal Affairs of Georgia |
| პოლიტიკური კოალიცია "ქართული ოცნება"-ს მხარდამჭერთა ჯგუფი | მე თბილისის მოტრფიალე | Zetnews.ge | მამუკა ბახტაძე Mamuka Bakhtadze |
| ,,2012" ერთად ავიხდინოთ ქართული ოცნება !!!!!!! | საქართველო და მსოფლიო | საინფორმაციო გვერდი / Information Page | თამარ ჩუგოშვილი / Tamar Chugoshvili |
| გიორგი მარგველაშვილი გისმენთ მეგობრებო! | | POSTV - ანალიტიკა | ქართული ოცნება / Georgian Dream |
| | | ერთიანი პროვოკაციული მოძრაობა | ირაკლი კობახიძე / Irakli Kobakhidze |
| | | სალომე - პრეზიდენტად / Salome Zourabichvili | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო |
| | | თბილისის მაცნე | |
| | | მახსოვს/Makhsovs | |
| | | ნაცია - ადამიანი ? | |
| | | ნაციონალისტის გვერდი | |
| | | მეამაყება ქართველი რომ ვარ | |
| | | გრიგოლ შტაბკვარწირა | |
| | | ამხილე | |
| | | სოციალ დემოკრატები პარლამენტში/Social Democrats In Parliament | |
| | | Unofficial: Rustavi 5 | |
| | | მიხეილ უკრაინოლოგი | |
| | | ეროვნული მედია | |
| | | ნიუსრუმი/Newsroom | |
| | | ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერები/Bidzina Ivanishvili | |
| | | Bidzina Ivanishvili & Media | |

## II. ტროლები TBC-ის წინააღმდეგ

TBC-ი ბანკის, კერძოდ მამუკა ხაზარაძის დისკრედიტაციის ახალი ტალღა 2019 წლის 4 მარტს დაიწყო, როცა თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი წევრი საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წინაშე სიტყვით გამოვიდა. ხაზარაძემ განაცხადა, რომ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ შინაგან საქმეთა მინისტრისგან, გიორგი გახარიასგან მუქარის წერილი მიიღო.

**იდენტური შინაარსის პოსტები.** 2019 წლის 4 მარტს, მამუკა ხაზარაძის პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წინაშე სიტყვით გამოსვლისას ტროლები იდენტური შინაარსის პოსტებს რამდენიმე წუთიანი შუალედით აქვეყნებდნენ:


Nino Menabde
4 მარტი, 13:48-ზე ·
მოკლედ, ახლა ვუყურე ხაზარაძის გამოსვლას და ერთი მარტივი კითხვა გამიჩნდა.. როდესაც 600 000 ადამიანი არის გაშავებული 100-200 ლარიანი სესხების გამო, ჭუტა წერეთელს 17 მლნ დოლარი რატომ ჩამოაწერეს ? რატო იყო თიბისი ასეთი ლოიალური მის მიმართ? 🙂 როგორც გავიგე ეს ფული გამოიტანა თვითონ ხაზარაძესთვის და ყველაზე უცნაური ამ ამბავში არის ის, რომ მამუკას თურმე არ სცოდნია რომ ჭუტამ თანხა თიბისისგან აიღო :დ კარგი რა, როდემდე უნდა ვუსმინოთ ამ ზღაპრებს
75
2 კომენტარი 2 გაზიარება
მომწონს
კომენტარი
გააზიარეთ


ანი იორდანაშვილი
4 მარტი, 13:57-ზე ·
მამუკა ხაზარაძე იყო კომიტეტში,საერთოდ ამ პროცესს დიდი ხანია თვალს ვადევნებ და იქედან გამომდინარე რო ხაზარაძესგან ან ჭუტასგან წესიერი პასუხი ვერ მოვისმინე მიჩნდება კითხვა 🙂 იმ დროს, როცა ამდენი ადამიანია გაშავებული ერთდღიან ვადაგადაცილებებზე და ასლარიან სესხებზე, ჭუტა წერეთელს 17 მილიონიანი სესხი რატო გაუნულდა?? ალბათ იმიტომ რომ თავად ხაზარაძესთვის გამოტანილი თანხა იყო. ხაზარაძეს რო კითხონ "არ იცოდა" რო ეს თანხა თიბისიდან არის გამოტანილი))) ცოტა სასაცილოა, არა?
22
3 კომენტარი 2 გაზიარება
მომწონს
კომენტარი
გააზიარეთ

**Marika Wveraidze**
4 მარტი, 14:06-ზე ·

უსმენთ ხაზარაძის "შთამბეჭდავ " გამოსვლას ?😃
საერთოდ ვერაფერს ვერ ამტკიცებს ,მარტო სიტყვებს ათამაშებს და ესე უნდა დაგვარწმუნოს თავის უდანაშაულობაში ? ჯერ იმაზე პასუხი აიცილა რანარად , რა კრიტერიუმებით მოხდა ჭუტა წერეთელის სახელზე 17მლნ ლარის ჩამოწერა, თან ისე რომ არც თავდებისთვის მოუთხოვიათ პასუხი არც ჩადებული უზრუნველყოფა დაუყადაღებიათ , არც გაუშავებიათ (არადა ხალხს 300 ლარიანი სესხის ვადაგადაცილების გამო აშავებდენ ) და მიუხედავად ამ ყველაფრის აგრძელებდნენ წერეთლის სახელზე სხვა სესხების გაცემას !
ხო თქვა, შანტაჟის მსხვერპლი ვარო , წერილიც მაქვს ამის დამადასტურებელიო , გახარიამ გამომიგზავნაო და ეხლა ეგეც გადათქვა მუქარა ვახსენე , სახელი კი არაო 😃 გადარჩენის გზებს ეძებს და ლოგიკურია დაბნეულია 👌 თუმცა ყოფნის იმის ეშმაკობა ახალი ეჭვები გააჩინოს საზოგადოებაში და თავგზააუბნიოს ხალხს (საზოგადოებრივი იმუნიტეტის მოპოვების მცდელობა პირველი არ არის მაგ კაცისგან )
არვიცი ბატონო მამუკა ეგ წერილი თუ მართლა არსებობს გაასაჯაროეთ , მთლიანი შინაარსი, არ აქვს მნიშვნელობა ვისგან მიიღეთ მთავარია თქვენთვის არ შეინახოთ და თუ დაამტკიცებთ რომ ეგ ფუჭი , თავის გადარჩენის მიზნით მოგონილი სიტყვები არ არის მე ვიქნები პირველი ამ საქმის ობიექტურად დასრულების მთავარი გულშემატკივარი 👌

👍 42 — 8 კომენტარი

---

**Salome Sixarulidze**
4 მარტი, 14:20-ზე ·

ხაზარაძემ სასწრაფოთ უნდა დამთავრდეს გამოძიება ფულის გათეთრების ფაქტზეო, ჩვეულებრივი და კანონიერი ფინანსური ქმედება ჰგონია საკუთარი ბანკიდან ფულის გატანა და უიმედო სესხის კლასიფიკაციის მინიჭება , ჩამოწერა და ამ თანხის ოფშორში გადაქაჩვა 😕 ეჭვი მაქვს რაც უფრო ბევრს ილაპარაკებს უფრო მეტ შეცდომას დაუშვებს ეს კაცი 👌

👍 24 — 13 კომენტარი

მომწონს · კომენტარი · გააზიარეთ

ნახეთ კიდევ 4 კომენტარი

**Goha Purtskvanidze** ერთადერთი გამოსავალი აღიარებითი ჩვენებაა მაგრამ ხაზარაძე მოსიარულე გვამია უკვე
👍 2
მომწონს · პასუხი · 3 კვირა




ამასთანავე ხაზარაძის წინააღმდეგ კამპანია საპარლამენტო გამოსვლის შემდეგაც ორგანიზებულად გრძელდებოდა:



**Saba Giorgadze**-მ(ა) გააზიარა პოსტი ჯგუფში "კახა კალაძე თბილისის მერი"
24 მარტი, 18:19-ზე ·

ესაა სწორედ მევახშის და ბანკების რეალობა, არაფერს ითვალისწინებენ !



66 583 ნახვა

**მახსოვს/Makhsovs**
24 მარტი, 17:34-ზე ·

გვერდის მოწონება

ჩვენი კეთილი მამუკა ხაზარაძე 🙂

**Salome Koridze**
21 მარტი, 15:20-ზე ·

როდემდე შეიძლება ამ რუსთავი2-ს ვუსმინოთ და ის ინფორმაცია მივიღოთ, რომელიც ყველასთვის კარგად ცნობილი პარტიისა თუ ლიდერის წისქვილზე ასხამს წყალს?! ძალიან საკმარისია ჩემი აზრით 🤦‍♀️ ხალხი ყველაფერს ხედავს და ხვდება ! ესეც მორიგი მიზანმიმართული ცრუ ინფორმაცია ვითომ ხალხის თვალში გახარიას ავტორიტეტის შესალახად. ჯაფარიძე თავად აღიარებს რომ არავითარი შუამავალი არ ყოფილა!



**პრესკლუბი**
21 მარტი, 15:01-ზე ·

გვერდის მოწონება

ბადრი ჯაფარიძის შემდეგ, უკვე მამუკა ხაზარაძეც უარყოფს „რუსთავი 2"-ის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, რომ ბადრი ჯაფარიძე მასა და გახარიას შორის შუამავალია

„თიბისი ...
ინილეთ მეტი

👍 4

უფრო მეტიც, ერთ-ერთი ტროლის კრიტიკის ობიექტი საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე რომან კაკულიაც გახდა, რომელმაც განაცხადა, რომ TBC ბანკს თავის მართლების ვალდებულება არ ჰქონდა.




პირად პროფილზე გამოქვეყნებული პოსტების გარდა, იდენტიფიცირებული ტროლები კომენტარებს სხვადასხვა მედია-საშუალების ფეისბუქ პოსტებზე ტოვებდნენ, ასევე ხშირად აქვეყნებდნენ ან აზიარებდნენ პოსტებს საჯარო ფეისბუქ-ჯგუფებში. იყო შემთხვევები, როდესაც ერთი და იმავე პოსტის ქვეშ რამდენიმე ტროლის კომენტარი გვერდიგვერდ ან რამდენიმე წუთის ინტერვალით იყო ჩნდებოდა.

**Zetnews.ge**
18 სთ. ·

გვერდის მოწონება

თბილისის საქალაქო სასამართლოში მაგისტრ მოსამართლესთან გამოკითხვის შემდეგ "TBC ჯგუფის" დამფუძნებელი მამუკა ხაზარაძე ჟურნალისტებთან მცირე კომენტარით შემოიფარგლა და მედიის კითხვებს თავი აარიდა.




32

3 კომენტარი 1 გაზიარება

**Giorgi Natroshvili** რა თქმა უნდა აარიდებს რადგან სათქმელი არ აქვს არაფერი , არ ეგონა რომ დაიბარებდნენ და ეხლა რა უნდა ქნას როცა წერილი არ აქვს . მოიგონა რაღაცეები თავის გასამართლებლად, ბანკირია რა

მომწონს · პასუხი · 17 სთ

**Marika Wveraidze** ძალიან ცდება ხაზარაძე , თუ ფიქრობს რომ ამ საკენკს გადმოყრით მთავარ ტემას გადაფარავს , პოლიტიკურ სპეკულაციებს აგრძელებს და ძალიან საშიში თამაში წამოიწყო , ისეთი ბრალდებებით , რომელსაც ვერც ამტკიცებს .

მომწონს · პასუხი · 17 სთ

**Nino Menabde** კითხვებს თავი რომ არ აარიდოს სხვა რა ქნას, ეტყობა "ხოდზე"ტყუილების მოფიქრება არ შეუძლია და ცოტა დრო სჭირდება :დდ ხო ხედავთ 1 დღეში რა მაგარი რამ მოიფიქრა, წერილი ორიგინალი ლონდონში ექსპერტიზაზე გავაგზავნეო :დდ

მომწონს · პასუხი · 18 სთ



NEWS.On.ge

4 მარტი, 13:35-ზე ·

გვერდის მოწონება

ხაზარაძე ამბობს, რომ მაღალჩინოსნისგან მუქარის შემცველი წერილი მიიღო.



ON.GE

**არჩევნების მეორე ტურის წინ მაღალჩინოსანი გვაშანტაჟებდა — ხაზარაძე**

12 · 9 კომენტარი 1 გაზიარება

**Salome Sixarulidze** რა აფერისტი კაცია ჯერ იმახდა არანაირ ზეწოლას ადგილი არ ჰქონიაო ,ეხლა თქვა გახარიასგან მივიღე წერილიო და მერე გადათქვა არა გახარია არ დამისახელებიაო 😀 იცის რამხელა საზოგადოებრივი ინტერესია ამ საქმის მიმართ და სარგებლობს, ყრის ეჭვებს და არც ამტკიცებს. დადგეს და გაასაჯაროოს ეს წერილი . არც ხალხია სულელი ხაზარაძის უარგუმენტო მსჯელობის რომ სჯეროდეს და არ გახარაია მგონია ისეთი სულელი არჩევნების წინ ასეთი სახის წერილი ვინმესთვის რომ გაეგზავნა 😉

მომწონს · პასუხი · 2 დღე · 1

**Giorgi Natroshvili** ასე ვერავის ვენდობით მითუმეტეს ხაზარაძეს ფაქტები დაგვანახეტ ფაქტები . მასე მეც ბერვს რამეს ვიტყვი 🙂

მომწონს · პასუხი · 2 დღე · 1

**Nino Menabde** აქამდე ამბობდით რომ არანაირ ზეწოლას ადგილი არ ჰქონია და ჰოი საოცრებავ უცებ გამოჩნდა წერილი :დ დებილებს ვგავართ, ბატონო მამუკა ? )) გვანახეთ ეს წერილი

მომწონს · პასუხი · 2 დღე · 1

საინფორმაციო გვერდი / Information Page

23 სთ. ·

გვერდის მოწონება

სოსო მანჯავიძე: მე ის მიკვირს, რამ ათქმევინა ხაზარაძეს ასეთი სულელური ტყუილი, ნუთუ შედეგები ვერ გათვალა?




KVIRA.GE

**სოსო მანჯავიძე: მე ის მიკვირს, რამ ათქმევინა ხაზარაძეს ასეთი სულელური ტყუილი, ნუთ...**

გაიგეთ მეტი

156

38 კომენტარი 8 გაზიარება

**Salome Sixarulidze** დაარიგეს ! ტყუილად კი არ მიეწვება ხან ერთ პარტიას და ხან მეორეს , ჯერ ხაზარაძის სათქმელს ახმოვანებდნენ ისინი და ეხლა ხაზარაძე სპეკულიანტობს და ჩაება ამ პოლიტიკურ თამაშში. დასაკარგი არაფერი აღარ აქვს და იმედი აქვს ამ შეტევებით მაინც ნახავს სარგებელს

მომწონს · პასუხი · 22 სთ — 6

**ლიანა მამასახლისი** აქ წერენ რა იცით რომ იტყუებაო. ამას თუ ვერ ხვდებით თქვენ გქონიათ დიდი პრობლემა.

მომწონს · პასუხი · 17 სთ — 3

**ანი იორდანაშვილი** xazaradzes tyuilebs ise mivechviet gasakviri agaraa :)) sxva ra gza aqvs, icis ro agaraperi eshveleba

მომწონს · პასუხი · 23 სთ — 5

1 პასუხი

**Anna Mchedlidze** პირველ კლასელიც კი არ დაიჯერებს მასეთ სისულელეს გახარიამ წერილი მიწერა ხაზარაძეს ბანკირი კი არის ჭკვიანი მაგრამ გაასულელეს

მომწონს · პასუხი · 7 სთ — 2

**Nino Menabde** მაქსიმალურად ცდილობს თავი გამოიძვრინოს მოცემული სიტუაციიდან და ის კი ვერ განსაზღვრა რომ უარეს მდგომარეობაში იგდებს თავს

მომწონს · პასუხი · 23 სთ — 4

**ეროვნული მედია**
18 სთ. ·

გვერდის მოწონება

სასამართლოოდან გამოსულმა მამუკა ხაზარაძემ ჟურნალისტების დასმულ კითხვებს თავი აარიდა




EXCLUSIVENEWS.GE

**სასამართლოოდან გამოსულმა მამუკა ხაზარაძემ ჟურნალისტების დასმულ კითხვებს თავი აარიდა –...**

54

7 კომენტარი 1 გაზიარება

**ნინელი ადამია** ფუ გარდა აფერისტი მევახშისა, უტრაკო, მატყუარა გამტრაკებელიც ყოფილა 🙂 კაცობა მაინც ეყოს და აღიაროს, რომ მოიტყუა

მომწონს · პასუხი · 17 სთ 2

**Nino Menabde** რაღა დროს კითხვებზე თავის არიდებაა, ისეთი ზღაპრები მოიგონა და ისე დაეცა საზოგადოების თვალში, ვინღა მიანიჭებს მის პასუხებს მნიშვნელობას 😕 ძალიან არასერიოზული ადამიანი აღმოჩნდა

მომწონს · პასუხი · 18 სთ 1

**Marika Wveraidze** ვერ ნახეთ ერთი დაუფიქრებელმა ტყუილმა , რაც გამოიწვია? დღეს აბსურდის მტკიცება უწევს . კარგად აწონ -დაწონის ყველაფერს რა და როგორ უნდა თქვას და მერე ჩაატრებს ალბათ ბრიფინგს

მომწონს · პასუხი · 17 სთ 1

## III. ტროლები არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ

აღსანიშნავია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების დისკრედიტაციას ფეისბუქში სწორედ ის სახელისუფლებო ტროლები ახდენდნენ, რომლებიც სოციალურ ქსელებში მმართველი გუნდის გზავნილების გამავრცელებლები და TBC-ის წინააღმდეგ ორგანიზებული კამპანიის მონაწილეები იყვნენ. იდენტიფიცირებული სახელისუფლებო ტროლები დაკვირვების პერიოდში არასამთავრობო ორგანიზაციების დისკრედიტაციას რამდენიმე საბაბით ახდენდნენ:

1. 2 შემთხვევაში საქმე შეეხებოდა საზოგადოებრივი აზრის კვლევებს: 1.1) 4 აპრილს ღია საზოგადოების ფონდისა და საერთაშორისო ორგანიზაცია IDEA-ს დაკვეთით კავკასიური რესურსების კვლევითი ცენტრის (CRRC) მიერ ჩატარებულ კვლევას, რომელშიც რამდენიმე კითხვა საზოგადოებრივი მაუწყებლისადმი ნდობას შეეხებოდა; 1.2) MDF-ის მიერ გამოქვეყნებული კვლევას ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე უმცირესობების ინფორმირების შესახებ, რასაც საზოგადოებრივი მაუწყებლის მხრიდან რამდენიმე შეცდომაში შემყვანი სიუჟეტი მოჰყვა.
2. 2 აპრილს ხელისუფლებასთან დაკავშირებული ექსპერტის გია აბაშიძის მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, "ნაციონალური მოძრაობის შეღწევა სამოქალაქო სექტორში", რომელსაც სახელისუფლებო ტროლები აქტიურად აზიარებდნენ.
3. 15 მარტს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომაზე "საერთო სასამართლოების შესახებ" კანონში ცვლილებების კანონპროექტების განხილვის დროს არასათავრობო ორგანიზაციების აქციას, როდესაც ისინი მაისურებზე წარწერით "კლანი უნდა წავიდეს" მივიდნენ.

**კვლევები.** მედიის განვითარების ფონდის (MDF) და ღია საზოგადოების ფონდის წინააღმდეგ ტროლების მადისკრედიტირებელი პოსტები 15 მარტს გამოქვეყნებულ კვლევას შეეხებოდა, რომლის მიზანი ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე ეთნიკური უმცირესობების ინფორმირებულობის საკითხის შესწავლა იყო[10]. კვლევის შედეგების ინტერპრეტირება მონიტორინგის სუბიექტმა საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მანიპულაციურად მოახდინა და ამტკიცებდა, თითქოს კვლევაში საზოგადოებრივი მაუწყებლის მთლიანი პროდუქტი რუსულ დეზინფორმაციად იყო შეფასებული[11]. თავად საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 15 მარტის კვლევას რამდენიმე ცალმხრივი და დაუბალანსებელი სიუჟეტი მიუძღვნა, სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის მქონე ონლაინ გამოცემებმა კი - არაერთი ცალმხრივი პუბლიკაცია, რასაც თან სდევდა სოციალურ ქსელებში ტროლების მობილიზების კამპანია.

პირად კედელზე გამოქვეყნებული პოსტების გარდა, მადისკრედიტირებელ პოსტებს აღნიშნული ტროლები "ქართულ ოცნებასთან" თემატურად დაკავშირებულ ჯგუფებში აზიარებდნენ.

---

[10] მედიის განვითარების ფონდი, 2019, საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე უმცირესობებით დასახლებული რეგიონების ინფორმირება. http://mdfgeorgia.ge/geo/view-library/107

[11] მედიის განვითარების ფონდი, 22 მარტი, 2019. საზოგადოებრივ მაუწყებელს საზოგადოება შეცდომაში შეჰყავს. http://www.mdfgeorgia.ge/geo/view_statements/524

**Marika Wveraidze**

20 მარტი, 15:16-ზე ·

სოროსი თავისი ფონდებით წლების განმავლობაში შეპარულად , ჩუმ-ჩუმად ძირს უთხრიდა ჩვენს სახელმწიფოებრიობას . ამჯერად, უკვე ძალიან გათამამდნენ და სოროსის დაფინანსებულმა მედიის განვითარების ფონდმა ისეთი კვლევა ჩაატარა , პირდაპირ ქვეყნის იმიჯს დაარტყა ! საზოგადოებრივი მაუწყებლის სატელევიზიო პოლიტიკა ანტიდასავლურობაში დაადანაშაულა და რუსეთუეობის იარლიყი მიაკრა ! ამერიკაში უკვე გამოუცხადეს ბრძოლა ამ სოროსელებს და მგონი დროა ჩვენც გონზე მოვიდეთ სანამ ბოლომდე ძირს გამოგვითხრიან !

**გიორგი ტუღუში**

March 20 at 2:51 PM ·

სოროსმა თავისი ფონდიანად საერთოდ რომ დაგვტოვოს არ უნდა ?! ვითომ გული შესტკივა და რეალურად ისეთ კვლევებს უკვეთავს აქეთ გვაზარალებს და მართლა დანის პირზე გვატარებს ! ეხლაც "მედიის განვითარების ფონდმა" რომლის მთავარი დამფინანსებელიც სოროსია ჩაატარა კვლევა, სადაც საზოგადოებრივი მაუწყებელი ანტიდასავლურობაში დაადანაშაულა და ნაცების საყვარელი სიტყვა "რუსეთუმეობა" დააბრალა . დიდი ბოდიში ჯორჯ , მაგრამ რუსეთი მტერიას ძახილით, სატელევიზიო ფორმატში ვერ დავიბრუნებთ დაკარგულ ტერიტორიებს და ეგ ტელევიზიის დასავლურობის ან ანტიდასავლურობის საზომი სულაც არ არის !

91 · 14 Comments 3 Shares

Like Comment Share

**Salome Koridze**

20 მარტი, 14:57-ზე ·

სოროსის ფონდი წესით განვითარებას და უკეთესი მომავლის პერსპექტივების ხელშეწყობას უნდა ემსახურებოდეს, ამდროს რას აკეთებს? ყველა ზღვარს გადადის, რუსულ პროპაგანდაზე საუბარი ჩვეულებრივი მიზანმიმართული პროვოკაცია მგონია, ყველა ძალიან კარგად ვხედავთ რომ არავითარ რუსულ პროპაგანდას არ აქვს ადგილი და რას ემსახურება ეს ყველაფერი თქვენც ძალიან კარგად ხვდებით ალბათ!

Dato Salukvadze და 9 სხვა

**Marika Melikidze**-მ(ა) გააზიარა პოსტი ჯგუფში "ბიძინა ივანიშვილის მეგობრები "ფეისბუქზე""
20 მარტი, 20:51-ზე

თავხედი კინწურაშვილი რომ მთელი ცხოვრება მიშას დაკვეთების მიხედვით მუშაობდა არაუშავს?? რა აქვს დღეს სალაპარაკო?!




27 193 ნახვა

**POSTV - ანალიტიკა**
20 მარტი, 20:10-ზე

გვერდის მოწონება

მედია რენტგენი - კინწურაშვილის მედია სიაბანდობა
#POSTV

4

**Nino Menabde**-მ(ა) გააზიარა პოსტი ჯგუფში "კახა კალაძე თბილისის მერი"
20 მარტი, 20:42-ზე



27 007 ნახვა

**POSTV - ანალიტიკა**
20 მარტი, 20:10-ზე

გვერდის მოწონება

მედია რენტგენი - კინწურაშვილის მედია სიაბანდობა
#POSTV

**Giorgadze Lekso**-მ(ა) გააზიარა პოსტი ჯგუფში "პროტესტი! Protest! Протест!"
20 მარტი, 21:57-ზე

ცოტა ხო არ შეარცხვინეს სოროსის ფონდი?




3728 ნახვა

**ნაციონალისტის გვერდი**
20 მარტი, 21:38-ზე

გვერდის მოწონება

MDF ის ბრალდებების შესახებ სერიოზული დებატები გაიმართა საზოგადოებრივ მაუწყებელზე

**Salome Sixarulidze**-მ(ა) გააზიარა პოსტი ჯგუფში "პოლიტიკური კოალიცია "ქართული ოცნება"-ს მხარდამჭერთა ჯგუფი"
20 მარტი, 15:41-ზე

სოროსის ფონდი მიზანმიმართულ დისკრედიტაციას ეწევა ქვეყნის მთავარი მაუწყებლის წინააღმდეგ და რუსეთუმეობაში ადანაშაულებს ! საკმარისია , სოროსის ჭანჭიკების ბოგინი ჩვენს ქვეყანაში ! ასეთი ანტისახელმწიფოებრივი დასკვნებით გვარცხვენენ და საერთაშორისო დონეზე იმიჯს გვილახავენ !




9005 ნახვა

**Caucasus Press**
20 მარტი, 14:13-ზე

გვერდის მოწონება

სოროსის ფონდის კამპანია საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის წინააღმდეგ.




აღსანიშნავია, რომ  პრო-სახელისუფლებო გვერდ Zetnews-ს, რომელიც 2019 წლის 10 თებერვალს შეიქმნა, მედიის განვითარების ფონდის” კვლევის გარშემო დაწყებული კრიტიკული დისკუსია დასპონსორებულიც ჰქონდა. დასპონსორებული იყო ასევე Pos TV-ის მიერ ამ თემაზე მომზადებული სიუჟეტიც.

ღია საზოგადოების ფონდის წინააღმდეგ სახელისუფლებო ტროლების მეორე კამპანია 3 აპრილს გამოქვეყნებულ, CRRC-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს შეეხებოდა, რომელმაც აჩვენა, რომ მოსახლეობის 47% საზოგადოებრივ მაუწყებელს არასდროს უყურებდა[12]. კვლევის შედეგები საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მის წინააღმდეგ წარმოებულ კამპანიად შეაფასა, რასაც დაუბალანსებელი სიუჟეტი და მცდარი ფაქტების გავრცელება მოჰყვა, თითქოს ფონდი კვლევის შედეგებს მალავდა[13]. ამასთანავე სოციალურ ქსელებში გააქტიურდნენ სახელისუფლებო ტროლები, რომლებიც სხვადასხვა ჯგუფებში ფონდის წინააღმდეგ მაუწყებლის განცხადებას აზიარებდნენ და მადისკრედიტებელ კომენტარებს წერდნენ, ზოგიერთი გვერდი კი ამ განცხადებას ასპონსორებდა.

---

[12] ნეტგაზეთი, 3 აპრილი, 2019. მოსახლეობის 47% ამბობს, რომ საზმაუს არასდროს არ უყურებს – CRRC-ის კვლევა. http://netgazeti.ge/news/353590/

[13] ღია საზოგადოების ფონდი, 3 აპრილი, 2019. “საზოგადოებრივი მაუწყებელი ღია საზოგადოების ფონდს   კვლევის შედეგების დამალვაში ადანაშაულებს” https://osgf.ge/sazogadoebrivi-mauwyeblis-reaqcia-mosakhleobis-gamokitkhvis-shedegebze/


Marika Wveraidze-მ(ა) გააზიარა პოსტი ჯგუფში "საქართველო და მსოფლიო"
4 აპრილი, 14:20-ზე
სოროსის ფონდის დაფინანსებული ნჯეო სექტორი , მიკერძოებულ დასკვნებს აქვეყნებს და ასე ცდილობს საზოგადოებრივი მაუწყებლის დისკრედიტაციას !
ეროვნული მედია
4 აპრილი, 12:21-ზე
გვერდის მოწონება
პირველი არხი სოროსის ფონდის კრიტიკას პასუხობს
საქართველოს პირველი არხი
1TV.GE
1TV.GE
საქართველოს პირველი არხის ღია წერილი - 1TV
გაიგეთ მეტი


Nana Ediberidze-მ გააზიარა ფოტო ჯგუფში: კახა კალაძე თბილისის მერი.
გუშინ 14:24-ზე
სოროსის მიერ დაფინანსებული არასამთავროები უტევენ პირველ არხს
არხი
Zetnews.ge
გუშინ 12:24-ზე
გვერდის მოწონება
საზოგადოებრივ მაუწყებელს მიაჩნია რომ სოროსის ფონდის კვლევა სუბიექტურია და არხის დისკრედიტაციას ემსახურება
საქართველოს პირველი არხის ღია წერილი
ბოლო პერიოდში საგ...
იხილეთ მეტი


Saba Giorgadze-მ გააზიარა ფოტო ჯგუფში: გიორგი მარგველაშვილი გისმენთ მეგობრებო!
4 აპრილი, 15:01-ზე
საზოგადოებრივ მაუწყებელს მიაჩნია რომ სოროსის ფონდის კვლევა სუბიექტურია და არხის დისკრედიტაციას ემსახურება.
საქართველოს პირველი არხი
1TV.GE
ქართული პრესა
4 აპრილი, 12:20-ზე
გვერდის მოწონება
საზოგადოებრივ მაუწყებელს მიაჩნია რომ სოროსის ფონდის კვლევა სუბიექტურია და არხის დისკრედიტაციას ემსახურება
„ბოლო პერიოდში საგრძნობლად გახშირდა სხვადასხვა ორგანიზ...
იხილეთ მეტი


გიორგი ტუღუში-მ გააზიარა ფოტო ჯგუფში: აქტუალური თემები, საინტერესო მოვლენები და ფაქტები!
4 აპრილი, 14:08-ზე
საზოგადოებრივი მაუწყებელი არასამთავრობო ორგანიზაციებს ცრუ ბრალდებებში ამხელს👇
საქართველოს პირველი არხი
1TV.GE
Caucasus Press
4 აპრილი, 12:24-ზე
გვერდის მოწონება
საზოგადოებრივი მაუწყებელი არასამთავრობო ორგანიზაციებს ცრუ ბრალდებებში ამხელს
საქართველოს პირველი არხის ღია წერილი
...
იხილეთ მეტი

აღსანიშნავია ისიც, რომ კვლევების შედეგებისადმი მწვავე დამოკიდებულებას მმართველი პარტია და ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლები ადრეც ავლენდნენ, როცა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საზოგადოებრივი აზრის კვლევები პერიოდულად ქვეყნდებოდა. წინამდებარე კვლევაში იდენტიფიცირებული ერთ-ერთი ტროლი (გიორგაძე ლექსო) ფეისბუკ გვერდზე "ერთიანი პროვოკაციული მოძრაობა[14]" გამოქვეყნებულ გაყალბებული ინფორმაციის სკრინზე  ტოვებს კომენტარს. საინფორმაციო სააგენტო ინტერპრესნიუსის (IPN) ლოგოს გამოყენებით[15] გაყალბებული ინფორმაციისა და ფოტო კი NDI-ის ქართული ოფისის ხელმძღვანელ ლორა თორნტონს შეეხება, სათაურით "NDI -ს ხელმძღვანელმა ლორა თორნტონმა ტყუილისგან გაზრდილი ცხვირი მოიჭრა", რასაც თან ახლავს ტროლის კომენტარი, რომ მას ცხვირი ისევ გაეზრდებოდა.




**სახელისუფლებო ექსპერტის კვლევა.** სახელისუფლებო ექსპერტის გია აბაშიძის მიერ 2 აპრილს გამოქვეყნებულ ანგარიშს, რომელშიც ის ნაციონალურ მოძრაობასთან არასამთავრობო ორგანიზაციების კავშირებზე საუბრობდა, ტროლების მხრიდან შესაბამისი პოსტების ორგანიზებულად გაზიარება და ინფორმაციის რეკლამის სახით განთავსება მოჰყვა. ტროლები ავითარებდნენ მოსაზრებას, რომ ტენდენციური არასამთავრობო ორგანიზაციები საერთაშორისო ორგანიზაციებს არაობიექტურ ინფორმაციებს აწვდიან და ისინი შეცდომაში შეჰყავთ. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაშიც ის ტროლები აქტიურობდნენ, ვინც TBC-ის, MDF-ის და სოროსის ფონდის წინააღმდეგ იყო მობილიზებული.

[14] https://bit.ly/2VpPO5o

[15] მსგავსი ინფორმაცია ინტერპრესნიუსს არ გაუვრცელებია.

**Salome Sixarulidze**-მ გააზიარა ფოტო ჯგუფში: პოლიტიკური კოალიცია "ქართული ოცნება"-ს მხარდამჭერთა ჯგუფი.
4 სთ. ·

სწორედ ეს "მიუკერძოებელი " ნჯეო სექტორი აწვდის ცრუ ინფორმაციას რაზე დაყრდნობითაც საერთაშორისო ორგანიზაციები კვლევის დასკვნებს აქვეყნებენ !
პოლიტოლოგმა გია აბაშიძემ დღეს მედიას წარუდგინა კვლევა სახელწოდებით – „ნაციონალური მოძრაობის“ შეღწევა სამოქალაქო სექტორში“.




**პრესკლუბი**
5 სთ. ·
გვერდის მოწონება

გია აბაშიძე: ვინ აწვდის ცრუ ინფორმაციას ვაშინგტონს და რეალურად ვინ დგას ამის უკან?

პოლიტოლოგმა გია აბაშიძემ დღეს მედიას წარუდგინა კვლევა სახელწოდებით – „ნაციონა...
იხილეთ მეტი

**Nino Menabde**-მ(ა) გააზიარა პოსტი ჯგუფში "ბიძინა ივანიშვილის მეგობრები "ფეისბუქზე""
4 სთ. ·

„არასამთავრობო სექტორის იმ ნაწილს, რომელიც დღეს აქტიურად ჩანს მედიაში, მიუკერძოებელი არსამთავრობოების მანდილი აქვს მოსხმული. სინამდვილეში დღეს კარგად გამოჩნდა, რომ ისინი, გარკვეული პარტიული ნიშნით, „ნაციონალურ მოძრაობასთან" ორკესტრირებულად მოქმედებენ", - აცხადებს შავი ზღვის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორი თამარ კიკნაძე.

**საინფორმაციო გვერდი / Information Page**
6 სთ. ·
გვერდის მოწონება

შავი ზღვის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორი თამარ კიკნაძე ექსპერტ გია აბაშიძის კვლევას ეხმაურება.

„არასამთავრობო სექტორის იმ ნაწილს, რომელიც დ...

იხილეთ მეტი



PIA.GE
**თამარ კიკნაძე: „არასამთავრობო სექტ... „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ო**
გაიგეთ მეტი

**გიორგი ტუღუში** ▸ **აქტუალური თემები, საინტერესო მო...**
2 hours ago ·

არ მინდა ყველა დავადანაშაულო მიკერძოებაშ , თუმცა თუ ადამიანი პარტიის აქტივისტად რჩება, ის ყოველთვის იქნება მეტნაკლებად... See More



**პრესკლუბი's Post**
საზოგადოებამ უკეთ უნდა იცოდეს, რა სურათია...

4

**გიორგი ტუღუში** ▸ **,,2012" ერთად ავიხდინოთ ქართულ...**
2 hours ago ·

დღეს, ექსპერტმა გია აბაშიძემ მედიის წარმომადგენლებს კვლევა წარუდგინა, სადაც საუბარია, თუ როგორ შეაღწია... See More



**Caucasus Press's Post**
დღეს, ექსპერტმა გია აბაშიძემ მედიის წარმომადგენლებს...

4 1 Share

**გიორგი ტუღუში** ▸ **კახა კალაძე თბილისის მერი**
2 hours ago ·

ექსპერტი ნიკა მეტრეველი გია აბაშიძის მიერ დღეს წარდგენილ კვლვლევას ეხმაურება. კვლევაში საუბარია საუბარია თუ როგორ შეაღწია... See More



**Zetnews.ge's Post**
ნიკა მეტრეველი: ესენი რეალურად ,,ფეიქ" არასამთავრობო...

4

**გიორგი ტუღუში** ▸ **,,2012" ერთად ავიხდინოთ ქართულ...**
2 hours ago ·

გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაციები" ყველა ქმედებასა თუ განცხადებაში ამჟღავნებენ, რომ „ნაციონალური მოძრაობის" სატელიტები... See More



**Zetnews.ge's Post**
გაბრიჭიძე: ე.წ. გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაციები"...

საინფორმაციო გვერდი / Information Page
Sponsored ·

შავი ზღვის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორი თამარ კიკნაძე ექსპერტ გია აბაშიძის კვლევას ეხმაურება.

„არასამთავრობო სექტორის იმ ნაწილს, რომელიც დღეს აქტიურად ჩანს მედიაში, მიუკერძოებელი არსამთავრობოების მანდილი აქვს მოსხმული. სინამდვილეში დღეს კარგად გამოჩნდა, რომ ისინი, გარკვეული პარტიული ნიშნით, „ნაციონალურ მოძრაობასთან" ორკესტრირებულად მოქმედებენ", - აცხადებს შავი ზღვის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორი თამარ კიკნაძე.



PIA.GE
**თამარ კიკნაძე: „არასამთავრობო სექტორის ნაწილი, პარტიული ნიშნით, „ნაციონალურ...**
Learn More

საინფორმაციო გვერდი / Information Page
Sponsored ·

ექსპერტმა გია აბაშიძემ დღეს მედიის წარმომადგენლებს კვლევა წარუდგინა, სადაც საუბარია, როგორ შეაღწია „ნაციონალურმა მოძრაობამ" სამოქალაქო სექტორში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის გაზრდის მიზნით.



PIA.GE
**გია აბაშიძე: სამოქალაქო ინსტიტუციონალიზმის განვითარების ფონდი...**
Learn More

Zetnews.ge
Sponsored ·

სამოქალაქო ინსტიტუციონალიზმის განვითარების ფონდის მეპატრონეები იყვნენ ის სამინისტროები, რომლის ხელმძღვანელი დიმიტრი შაშკინი გახლდათ - გია აბაშიძე

ექსპერტმა გია აბაშიძემ დღეს მედიის წარმომადგენლებს კვლევა წარუდგინა, სადაც საუბარია თუ "როგორ შეაღწია „ნაციონალური მოძრაობამ" სამოქალაქო სექტორში საზოგადოებრივ- პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის გაზრდის მიზნით".

მისი თქმით, რეალურად, "ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლებაში მოსვლიდან მეხუთე წელს იწყება არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნა,... See More



Zetnews.ge
Sponsored ·

ამირან სალუქვაძე: საზოგადოებამ უკეთ უნდა იცოდეს, რა სურათია არასამთავრობო სექტორის იმ ნაწილში, რომელიც პარტიული ნიშნით საქმიანობს

„საზოგადოებისთვის უმჯობესი იქნება, თუ მთლიანი სურათი დაიდება, რა ხდება არასამთავრობო სექტორში. ეს კარგი იქნება უკეთესი ანალიზისთვის, მთელი სპექტრი რომ გაიშალოს. განსაკუთრებით ვგულისხმობ პარტიულ არასამთავრობო ორგანიზაციებს. დანარჩენი საზოგადოების გადასაწყვეტია", - განაცხადა ამირან სალუქვაძემ ანალიტიკოს გია აბაშიძის კვლევის კომენტირებისას.

მისი თქმით... See More





Zetnews.ge
Sponsored ·

გაბრიჭიძე: ე.წ. გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაციები“ ყველა ქმედებასა თუ განცხადებაში ამჟღავნებენ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ სატელიტები არიან

ექსპერტი გია გაბრიჭიძე ანალიტიკოს გია აბაძიძის კვლევას ეხმიანება.

რას ნიშნავს „გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაციები“ , ვისზე და რაზე აქვთ გავლენა? საიდან აქვთ? საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით რამდენი პროცენტი ადევნებს თვალს მათ კვლევებს, რამდენ პროცენტს აინტერესებს, საერთოდ რას ქაქავენ ისინი და რის გაუმჯობესებას გვპირდებიან. გა... See More

**აქციის "კლანი უნდა წავიდეს" წინააღმდეგ.** 15 მარტს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომაზე "საერთო სასამართლოების შესახებ" კანონში ცვლილებების კანონპროექტების განხილვის დროს არასათავრობო ორგანიზაციების აქციას, როდესაც ისინი მაისურებზე წარწერით "კლანი უნდა წავიდეს" მივიდნენ და მოსამართლეთა დანიშვნის წესს აპროტესტებდნენ, სახელისუფლებო ტროლების მობილიზება მოჰყვა.







ცალკეულ შემთხვევებში სახელისუფლებო ტროლები “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” ხელმძღვანელ ეკა გიგაურის შესახებ ნეგატიურ პოსტებს აქვეყნებდნენ ან სასამართლოსთან დაკავშირებით თავად მის კრიტიკულ პოსტებზე ტოვებდნენ კომენტარებს.

**Giorgadze Lekso**
January 14 ·

რო არ წავიკითხო ბოლოში ვისი ციტატაა ეკა გიგაურს და მიშას ერთმანეთისგან ვეღარ ვარჩევ ისე დაემსგავსნენ ერთმანეთს ეს უღმერთოები. ეხლა ორივეს გული აუცრუვდა მურუსიძეზე, ვისი მოთრეულია ხო არ გამახსენებთ მურუსიძე, ისევ თქვენი ხო არა?

მიშა შეიყვანე ნაცებში ან რამე პარტია გაუკეთე ამ ქალს ასე რომ შერჩა NGO-ს.

ეს ხუმრობით და მიშას აშკარად NGO ებში ჭირდება აგენტურა თორე კაი თინა ბოკუჩავა 2 დადგებოდა გიგაურისგან.

32 · 6 Comments

**Eka Gigauri**
12 იანვარი ·

ვუსმინე პარლამენტის თავმჯდომარეს. თქვა, რომ სიის გაწვევა შეუძლებელიაო და კრიტერიუმებს გავწერთო. ამ კრიტერიუმებით განვიხილავთ არსებულ სიას და ვიმსჯელებთ წარმოდგენილ კანდიდატებზეო. ეს ყველაფერი კი საერთოდ არ გამორიცხავს ამ სიაში წარმოდგენილი ადამიანების არც უვადოდ დანიშვნის და არც მათი ჩაგდების შესაძლებლობას. ანუ ყველაფერი კვლავაც ბუნდოვანი და გაურკვეველი რჩება.

ახლა მაქვს რამდენიმე კითხვა:

1. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ პარლამენტი ჩინჩალაძე/ მურუსიძის ულტიმატუმს დათანხმდა, რო... იხილეთ მეტი

Baia Pataraia, Rusudan Vashakidze და 59 სხვა · 12 კომენტარი

**Giorgadze Lekso** როგორც ვხედავ ისე წარმოაჩენთ სიტუაციას თითქოს ახალი კრიტერიუმი განათლებაა. თქვენ ხომ არ იცით რა ახალ წესზეა საუბარი, რა მოთხოვნები იქნება? თქვენ რასაც აკეთებთ ეხლა ეგაა საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობა და იმის არ დანახვა რომ პარლამენტს შეუძლია რთული სიტუაციიდან გამოსავლის პოვნა. რატომ გიჭირთ ამის აღიარება? მე არ მომწონს მურუსიძე მაგრამ ეგ იმას არ ნიშნავს რომ მთლიანად პროცესის ჩაგდება მინდოდეს.

## IV. ტროლები კრიტიკული მედიის წინააღმდეგ

იდენტიფიცირებული სახელისუფლებო ტროლები მადისკრედიტირებელ კონტენტს ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილი მედიების წინააღმდეგაც აქვეყნებდნენ. ასეთი ტიპის პოსტები/კომენტარები მიმართული იყო როგორც უშუალოდ მედია საშუალების, ასევე კონკრეტული ჟურნალისტების წინააღმდეგადაც. ამ მხრივ თავდასხმის სამიზნე რუსთავი 2 და ტვ პირველი იყო, ცალკეული პუბლიკაციების შემთხვევაში კი ონლაინ გამოცემა “ლიბერალიც”.

ტროლები რუსთავი 2-ს კრიმინალის გაშუქების გამო აკრიტიკებდნენ, ასევე ციტირებდნენ სახელისუფლებო ექსპერტ გია აბაშიძეს, რომლის მიხედვითაც რუსთავი 2-ზე გასული ინფორმაციის უმეტესობა ყალბი ან ინტერპრეტირებული იყო, რასაც ტროლები სხვადასხვა ჯგუფებში აზიარებდნენ.















რაც შეეხება ტვ პირველს, ტროლების სამიზნე ტელეარხის ჟურნალისტები ვახო სანაია და ინგა გრიგოლია 22 მარტს გადაცემაში “პირველები” შს მინისტრ გიორგი გახარიას სტუმრობის შემდეგ გახდნენ.

**გიორგი ტუღუში**

March 22 at 11:41 PM ·

რა გონორით იყო გრიგოლია ხო ნახეთ , მაგრამ 2 საათში ისე მოცელა გახარიამ , რომ ეთერი ინგა გრიგოლიას მიერ პოლიციელებისადმი ღრმა პატივისცემის გამოხატვით და მადლობის გადახდით დასრულდა 😀

აქაც დიიიიიდი წერტილი ⚫

**Salome Sixarulidze**

March 23 at 6:40 PM ·

აი ქართული ჟურნალისტიკა მართლა უნდა გამოვიგლოვოთ და გავასვენოთ 😐

გუშინდელმა გახარიას ეთერმა დაადასტურა , რომ საქართველო სავსეა მიკერძოებული და არაპროფესიონალი ჟურნალისტებით . მივიდა კაცი პირველკურსელებს ლექცია ჩაუტარა და წამოვიდა , მე პირადად ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა 😀 რამდენჯერ დაუღეჭა სანაიას დასმულ კითხვაზე პასუხი და შინაარსი მაინც ვერ გამოჰქონდა , უფრო სწორად არ გამოჰქონდა , ხაზარაძის ადვოკატი იყო ოთხივე ჯურნალისტი , ეტყობოდათ ჩასაფრებულები რომ იყვნენ რომ როგორმე პროვოკაციაზე წამოეგოთ გახარია . ნუ ეს თავიდან მერე დასვა გახარიამ საფირმო წერტილი და წამოვიდა ✌️ 😀

59 10 Comments 6 Shares




სახელისუფლებო ტროლი გიორგაძე ლექსო ასევე ავრეცელებდა ყალბ ინფორმაციას ტელეკომპანია პირველის შესახებ, თითქოს რედაქციიდან ოპერატორები ლგბტ პირების გადაღებაზე უარის თქმის გამო დაითხოვეს. ის ოპერატორების ქმედებას იწონებდა, ხოლო ტვ პირველს ამის გამო აკრიტიკებდა.




ჟურნალ “ლიბერალის” შემთხვევაში კი ინდივიდუალური კრიტიკა გარდაცვლილი ზუგდიდის #6 სკოლის დირექტორის ია კერზაიას გათავისუფლების მიზანშეწონილობის შესახებ მომზადებულ მასალას შეეხებოდა, რომელსაც მედია საშუალების მიმართ ერთ-ერთი ტროლის კრიტიკული კომენტარი “ლიბერალის” ვებ-გვერდის რედაქტორის ლიკა ზაკაშვილის პოსტზე მოჰყვა.

**Lika Zakashvili**
21 დეკემბერი, 2018 ·

იმედი მაქვს დაინტერესებული ადამიანები მაინც წაიკითხავთ ამ მასალას, რომ რეალური წარმოდგენა შეიქმნათ რა ტიპის დარღვევებზე იყო საუბარი ზუგდიდის მე-6 საჯარო სკოლაში.

ჩემი აზრით ამ ტიპის დარღვევებს ნებისმიერ სკოლაში ნახავს ინსპექტირება.

სამინისტრომ არ ითანამშრომლა ჩვენთან. ძალიან მნიშვნელოვანი კითხვები გვქონდა, რომლებზეც პასუხი ვერ მივიღეთ. ...
იხილეთ მეტი



LIBERALI.GE

**რის გამო მიიჩნია სამინისტრომ ია კერზაიას გათავისუფლება მიზანშეწონილად - ინსპექტირების დასკ**

21 · 20 კომენტარი · 6 გაზიარება

**Giorgi Baliashvili** ამ ამბავს მართლა იმ პრიზმიდან ვუყურებდი რა პათოსითაც სტატიაა დაწერილი, მეც მქონდა განცდა რომ საარჩევნო პერიოდში არასასურველი ადამიანი მოხსნეს, მაგრამ სტატიაში მოყვანილი ფაქტების „გაპუსწიაკების" მცდელობამ გამაოგნა. რას ქვია ყველა სკოლაში ხდება? და ვინ გითხრათ რომ მარტო ამ სკოლაში შევიდა შემოწმება და მარტო ამ სკოლის მიმართ გაიცა რეკომენდაცია? თუ ზეწოლას ახორციელებდნენ მაგდენი რესურსი არ ეყოთ რომ კერძაია დირექტორობიდან მოეხსნათ? და კერძაია იყო ბოლოო ნაციონალი სკოლის დირექტორი? ვერ ვხვდები რატომ აკეთებთ ამას, ანუ წესით ჟურნალისტები უნდა ავლენდნენ ასეთ დარღვევებს და პასუხს სთხოვდნენ სკოლას და სამინისტროს და ეხლა ამბობთ რომ მერე რა? იმ ცეკვის და სიმღერის წრეზე რომ გაიცემოდა ფართი, მანდ მოიკვლიეთ ნეტა ბავშვები საფასურს იხდიან თუ არა?

1

მომწონს · პასუხი · 15 კვირა

**Lika Zakashvili** ფეიქ ექაუნთები ძალიან საინტერესოა : )

მომწონს · პასუხი · 15 კვირა

## V. დისკრედიტაციის კამპანიური ხასიათი

არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების დისკრედიტაციის მიზნით იდენტიფიცირებული ტროლები მეტწილად ერთი და იმავე გვერდების პოსტებს სხვადასხვა ჯგუფებში აზიარებდნენ. ამ გვერდების უმეტესობა 2019 წელს არის შექმნილი.

| გვერდი | შექმნის თარიღი |
|---|---|
| ქართული სახელმწიფო | 20 მარტი, 2019 |
| Caucasus Press | 11 მარტი, 2019 |
| Zetnews.ge | 10 თებერვალი, 2019 |
| პრესკლუბი | 2 ნოემბერი, 2018 |
| ეროვნული მედია | 2 ნოემბერი, 2018 |
| საინფორმაციო გვერდი | 4 თებერვალი, 2014 |

აღნიშნულ ახალშექმნილ გვერდებს არასმთავრობო  ორგანიზაციების წინააღმდეგ პოსტები დასპონსორებული ჰქონდათ, რაც ამ პროცესის კამპანიურ ხასიათზე მიუთითებს.








პრესკლუბი

Sponsored

გია აბაშიძე: ვინ აწვდის ცრუ ინფორმაციას ვაშინგტონს და რეალურად ვინ დგას ამის უკან?

პოლიტოლოგმა გია აბაშიძემ დღეს მედიას წარუდგინა კვლევა სახელწოდებით – „ნაციონალური მოძრაობის“ შეღწევა სამოქალაქო სექტორში“.

როგორც გია აბაშიძემ აღნიშნა, კვლევა მიზნად ისახავს, ღია წყაროების ანალიზით აჩვენოს საზოგადოებას, როგორია ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის კონფიგურაცია პოლიტიკურ რეალობაში.... See More





Caucasus Press

Sponsored

დღეს, ექსპერტმა გია აბაშიძემ მედიის წარმომადგენლებს კვლევა წარუდგინა, სადაც საუბარია, თუ როგორ შეაღწია „ნაციონალურმა მოძრაობამ“ სამოქალაქო სექტორში საზოგადოებრივ- პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის გაზრდის მიზნით.
მისი თქმით, კვლევაში ასახულია, როგორ ხდება „ნაციონალურ მოძრაობასა“ და მასთან აფილირებული არასამთავრობო ორგანიზაციების შორის გზავნილებისა და ნარატივების უნისონში თანხვედრა. ექსპერტმა ხაზგასმით აღნიშნა 20-მდე ორგანიზაცია, რომელიც „ნაცმოძრაობისგან დამოუკიდებლები არიან, მაგრ... See More





ქართული სახელმწიფო

Sponsored

სოროსის ფონდის მორიგი შეტევა საზოგადოებრივ მაუწყებელზე.

ოდნავ მაინც თუკი ვინმე გადაუხვევს თანამედროვე ნეოლიბერალურ დემაგოგიას და შეეცდება საღი აზრი მიაწოდოს მოსახლეობას, იმწამსვე ეს ბოროტი ქსელი იწყებს ორგანიზებულ შეტევას. არასამთავრობოების გაცხარებული იერიში გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ 1 მიზეზით, საზოგადოებრივ მაუწყებელზე გაჩნდა გადაცემები სადაც არ განადიდებენ ჯორჯ სოროსს, აჟღერებენ გლობალისტთა საწინააღმედო პოზიციებს და არ ჯდებიან ამ ვიწრო ჯგუფის კორუფციულ ინტერესებში. თანაც ეს იმის ფონზე რომ საუბარი მხოლოდ მცირედ გადახვევაზე და ეს არხი ჯერკიდევ რჩება ლიბერალურ ტელევიზიად, წარმოიდგინეთ რა მოხდება ეს არხი რომ ნამდვილად სახალხო გახდეს?

რა არის გამოსავალი საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის? კვერი არ დაუკრას ამ ნაძირლებს და კიდევ უფრო მეტად დაიძრას სახალხო პოზიციებისკენ!



საქართველოს პირველი არხის ღია წერილი - 1TV

Send Message



ეროვნული მედია

Sponsored

პირველი არხი სოროსის ფონდის კრიტიკას პასუხობს



1TV.GE

საქართველოს პირველი არხის ღია წერილი - 1TV

Learn More


პრესკლუბი
Sponsored
გია აბაშიძე: ვინ აწვდის ცრუ ინფორმაციას ვაშინგტონს და რეალურად ვინ დგას ამის უკან?
პოლიტოლოგმა გია აბაშიძემ დღეს მედიას წარუდგინა კვლევა სახელწოდებით – „ნაციონალური მოძრაობის“ შეღწევა სამოქალაქო სექტორში“.
როგორც გია აბაშიძემ აღნიშნა, კვლევა მიზნად ისახავს, ღია წყაროების ანალიზით აჩვენოს საზოგადოებას, როგორია ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის კონფიგურაცია პოლიტიკურ რეალობაში.... See More
Media Center MTAVARI
www.mcm.ge
მედიაცენტრი მთავარი
1TV.GE


საინფორმაციო გვერდი / Information Page
Sponsored
საზოგადოებრივ მაუწყებელს მიაჩნია რომ სოროსის ფონდის კვლევა სუბიექტურია და არხის დისკრედიტაციას ემსახურება
საქართველოს პირველი არხი
1TV.GE
1TV.GE
საქართველოს პირველი არხის ღია წერილი - 1TV
Learn More


Zetnews.ge
Sponsored
„მედიის განვითარების ფონდის“ კვლევას სიზუსტე დააკლდა - ვახუშტი მენაბდე
კონსტიტუციონალისტი ვახუშტი მენაბდე მიიჩნევს, რომ „მედიის განვითარების ფონდის“ კვლევას სიზუსტე დააკლდა, როდესაც მან საქართველოს პირველი არხის ანალიტიკური გადაცემა „42°პარალელი“ „დასავლეთის ქვეყნების და ინსტიტუტების გაშუქების მკვეთრად ნეგატიური ტონით“ გამოარჩია.
როგორც კონსტიტუციონალისტი წერს, რუსულ პროპაგანდასთან ბრძოლისას, არავის უნდა დაავიწყდეს, რომ სიარული მუდმივად დანის პირზე ხდება.
ამასთან, მისი თქმით, განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, რომ ანტიდასავლურის იარლიყის ქვეშ არ იყოს მოქცეული ნებისმიერი კრიტიკული აზრი.


საინფორმაციო გვერდი / Information Page
Sponsored
ექსპერტმა გია აბაშიძემ დღეს მედიის წარმომადგენლებს კვლევა წარუდგინა, სადაც საუბარია, როგორ შეაღწია „ნაციონალურმა მოძრაობამ“ სამოქალაქო სექტორში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის გაზრდის მიზნით.
PIA.GE
გია აბაშიძე: სამოქალაქო ინსტიტუციონალიზმის განვითარების ფონდი...
Learn More


საინფორმაციო გვერდი / Information Page
Sponsored
შავი ზღვის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორი თამარ კიკნაძე ექსპერტ გია აბაშიძის კვლევას ეხმაურება.
„არასამთავრობო სექტორის იმ ნაწილს, რომელიც დღეს აქტიურად ჩანს მედიაში, მიუკერძოებელი არსამთავრობოების მანდილი აქვს მოსხმული. სინამდვილეში დღეს კარგად გამოჩნდა, რომ ისინი, გარკვეული პარტიული ნიშნით, „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ორკესტრირებულად მოქმედებენ“, - აცხადებს შავი ზღვის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორი თამარ კიკნაძე.
PIA.GE
თამარ კიკნაძე: „არასამთავრობო სექტორის ნაწილი, პარტიული ნიშნით, „ნაციონალურ...
Learn More